საიდ. №70699/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №32-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), გ. დუდუჩავა, დ. ჭიჭინაძე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2014 წლის 27 მაისის №ა-121 წერილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანია „მეი ალქოლლუ იჯქილერ სანაიი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი”-ის (MEY ALKOLLU ICKILER SANAYII VE TICARET ANONIM SIRKETI) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №32-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1745/03 ბრძანების ბათილად ცნობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „TEKİRDAĞ RAKISI Trakya Serisi” (საიდ. №70699/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი). „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1745/03 ბრძანებაზე

თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი “TEKİRDAĞ RAKISI Trakya Serisi" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია 33-ე კლასის მსგავსი საქონლისთვის კომპანიიების „Mey Icki Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi“-ს და „Mey Alkollü Ickiler Sanayii Ve Ticaret Anonim Sirketi“ -ს სახელზე (მისამართი: Büyükdere Caddesi No. 71 Kat. 1, Maslak Sisli, Istanbul), საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „MEY TEKIRDAG RAKISI“ (საერთ. №743566 რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 20.09.2000). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია თურქული ანბანით. ორივე სასაქონლო ნიშანში შემავალ სიტყვებს „TEKIRDAG RAKISI“ შორის არსებული ჟღერადობრივი და ვიზუალური მსგავსება ქმნის ნიშნების აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, ხოლო „Trakya Serisi“ და „MEY“ არ ანიჭებთ მათ საკმარის განმასხვავებელუნარიანობას, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ კომპანია „Mey Icki Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi” არის კომპანიის „მეი ალქოლლუ იჯქილერ სანაიი ვე თიჟარეთ ანონიმ შირქეთი” (MEY ALKOLLU ICKILER SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI) ძირითადი აქციონერი, მას ეკუთვნის პრაქტიკულად განმცხადებლის ყველა აქცია ამგვარად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო რეგისტრაცია არ შეიძლება იყოს დაბრკოლება განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის, რადგან მისი მეორე მფლობელი არის განმცახადებლის მონათესავე კომპანია, რომელიც არ არის წინაარმდეგი განმცახდებლის სახელზე ახალი განაცხადების რეგისტრაციისა.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანის მიერ გაცემული თანხმობის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ „მეი იჩქი სანაიი ვე თიჯარეთ ანონყმ შირკეთი” (Mey Icki Sanayii Ve Ticaret Anonim Sirketi), რომელიც არის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის IR 743566A თანამფლობელი, იძლევა თანხმობას სასაქონლო ნიშნების „TEKİRDAĞ RAKISI Trakya Serisi” (საიდ. №70699/03) (საიდ. №70698/03) გამოყენებასა და რეგისტრაციაზე საქართველოში კომპანია „მეი ალქლოუ იჯქილერ სანაიი ვე თიჯარეთ ანონყმ შირკეთი”-ის (MEY ALKOLLU ICKILER SANAYII VE TICARET ANONIM SIRKETI) სახელზე 33-ე კლასის ყველა საქონლისათვის. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ კომპანია „მეი ალქლოუ იჯქილერ სანაიი ვე თიჯარეთ ანონყმ შირკეთი” არის კომპანია „მეი იჩქი სანაიი ვე თიჯარეთ ანონყმ შირკეთი”-ის (Mey Icki Sanayii Ve Ticaret Anonim Sirketi) შვილობილი კომპანია, რომელსაც უფლება აქვს მინიჭებული თავად შეიტანოს განცხადებები სასაქონლო ნიშნებზე მხოლოდ საჯარო დაწესებულებებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, შესაბამისად სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ არ მოხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელები წარმოადგენენ შვილობილ კომპანიებს, შესაბამისად აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „მეი ალქოლლუ იჯქილერ სანაიი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი”-ის (MEY ALKOLLU ICKILER SANAYII VE TICARET ANONIM SIRKETI) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1745/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „TEKİRDAĞ RAKISI Trakya Serisi” (საიდ. №70699/03) დარეგისტრირდეს საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ეგუტია

წევრები: გ. დუდუჩავა

დ. ჭიჭინაძე